

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, წინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბ ი ο ლ ო გ ი ა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: სასწავლო კურსები - ძირითადი სპეციალობა major – 168 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსები – 12 კრედიტი, დამატებითი minor სპეციალობა/ან არჩევითი კურსები 60 კრედიტი (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ცოცხლის ყველა ფორმისა და გამოვლინების, ცოცხლის თვისობრივი თავისებურებების, სასიცოცხლო პროცესების რეგულაციისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა. ცოცხალი სისტემების სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შესწავლა ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებათა შესწავლა, ცოცხალი სისტემების თვითმარეგულირებელ მექანიზმებში გარკვევა, ცოცხალში მიმდინარე ძირითადი ბიოქიმიური პროცესებში წვდომა, მედიცინის ბიოლოგიური საფუძვლების შესწავლა, ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა შეცნობა, კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ახალი ჯიშების შექმნისათვის თეორიული საფუძვლების შესწავლა, ბუნების ეთიკურ-ესთეტიკურ და პრაქტიკულ ღირებულებათა შეცნობა, ცოცხალი სამყაროს ბიომრავალფეროვნების დაცვა-კონსერვაციისა და ადამიანის ინტერესებისათვის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობებით აღჭურვა.
სწავლის შედეგები	კურსდამთავრებული ექნება ფართო ცოდნა ბიოლოგიის ტრადიციულ დარგებში (ბოტანიკა, ზოოლოგია, ციტოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია, გენეტიკა, ბიოევოლუცია, ბიოტექნოლოგია, ადამიანის ანატომია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია) სხვადასხვა (მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილურ, ორგანიზმულ, პოპულაციურ, ბიოგეოცენოლოგიურ) დონეზე; გააცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს: უჯრედთა ძირითადი სახეების, მათი ფუნქციების ცოცხალი სისტემების სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შესაბამისობას. ასევე, სხვადასხვა ტიპის ეკოსისტემებში მიმდინარე პროცესებს და ცოცხალი სისტემების თვითმარეგულირებელ მექანიზმებს. შეძლებს მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკასა და კვლევით საქმიანობაში; შესაბამისი კვლევითი სამუშაოების დაგეგმვას წინასწარი მითითების შესაბამისად, ანალიზს, კრიტიკულ შეფასებას გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის პრინციპებით. ასევე, ბიოლოგიური მოვლენების კვლევის, ანალიზის, განზოგადებისა და ბუნების დაცვის საქმეში. ასევე, ჩამოუყალიბდება კონკრეტული ბიოლოგიური პროექტებისა და ამოცანების გადაწყვეტის უნარი ხელმძღვანელის მითითებით; შეძლებს სტუდენტური პროექტებისა და რეფერატების მომზადებას, დემონსტრირებას, პრეზენტაციას.
შეფასების წესი	საბოლოო შეფასება - 100 ქულა. ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით A, B, C, D, E, FX, F. ECTS-ის შეფასება ქულა A – ფრიადი 91-100 B – ძალიან კარგი 81-90

	C – კარგი 71-80 D– დამაკმაყოფილებელი 61-70 E – საკმარისი 51-60 FX – ვერ ჩააზარა 41-50 F – ჩაიჭრა 0-40
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან დოლიძე , პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი მობ. ტელეფონი: 577783505 e-mail: dolidze.ketevan@bsu.edu.ge